ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 55

7 მაისი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით ყუთმელიძე, ლევან დარახველიძე.

სხდომას ესწრებოდა:

საფინანსო საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი- გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი- ლევან მიქავა

ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი-ანდრია ბასილაია.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1.საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები #11-01191223178; #11-01191232542; #11-01191263594) ქ "თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.

(საკრ.№15-031991232-03; №14-03192693-03 №15-031912380-03)

2.ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების მიმოხილვა.

(12-0319115124-03)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები (№11-01191223178 02.05.2019წ; №11-01191263594 05.0.2019წ; №11-01191232542 03.05.2019წ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ".

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა გაიოზ თალაკვაძემ.

შესათანხმებლად წარმოდგენილია გლდანისა და მთაწმინდის რაიონული გამგეობების, ზოგიერთი საქალაქო სამსახურის მოთხოვნა, მთთვის მიკუთვნებულ პროგრამებში ასიგნებების კვარტალურ გადანაწილებაში ცვლილებებთან დაკავშირებით.

კერძოდ გლდანის რაიონის გამგეობა,ს პროგრამაში „წყალმომარაგების ქსელის სისტემის მოწესრიგება“ მეორე კვარტალში სჭირდება 5500 ლარის დამატება. გამგეობა აღნიშნავს, რომ აპირებს წყაროს ქუჩაზე წყალსადენის ცენტრალური ქსელის მოწყობას.

მთაწმინდის რაიონის გამგეობას, ჭონქაძის ქუჩაზე „ვილნიუსის სკვერის“ სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და ასევე სხვადასხვა მისამართებზე სკვერების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის, მეორე კვარტალში დამატებით ესაჭიროება 521 000 ლარი. ასევე გამგეობის კომუნალური ხარჯების გადასახდელად, მეორე კვარტალში სჭირდება 20 000 ლარის დამატება. ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის მოთხოვნით, ქალაქის მასშტაბით კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოებისათვის „კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებების“ პროგრამაში (კოდი 02 09 01) 1 500 000 ლარი ემატება მეორე კვარტლის გეგმას, შესაბამისად მესამე და მეოთხე კვარტლების შემცირების ხარჯზე. ასევე ქალაქის მასშტაბით ორმოული და გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის „პროგრამაში „გზების მშენებლობა -აღდგენა“ მეორე კვარტალს ემატება 1 000 000 ლარი. თანხები გადმოაქვთ მომდევნო კვარტლებიდან.

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო ითხოვს მეორე კვარტალში 200 000ლარის დამატებას. საერთო ჯამში გადასახდელების ნაწილში მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 1 754,5 ათასი ლარით. შემოსავლების ნაწილში დაბალანსება ხდება „მიწის გაყიდვიდან“ მიღებული შემოსავლებით.

გარდა ამისა წარმოდგენილია მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წერილობითი მოთხოვნა, სადაც სამსახური ითხოვს „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის“ პროგრამაში (კოდი 08 02) წლიურ გეგმას დაემატოს 37265 ლარი, პროგრამის „ კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 05) ასიგნებების შესაბამისად შემცირების ხარჯზე. აღნიშნავენ, რომ 10/წ 30 მაისს ყვნაში ტარდება დიდი კონცერტი, რომელიც ეძღვნება აუტიზმით დაავადებულ ბავშვებს. კონცერტზე მიწვეულია თბილისის №1 ხელოვნების სკოლის ბავშვთა გუნდი. ასევე აზრბაიჯანის ქალაქ გაბალაში მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, ჰეიდარ ალიევის ფონდის მხარდაჭერით მიემგზავრება „ბიგ-ბენდი“. აქედან გამომდინარე საჭიროა პროგრამების ასიგნებების ცვლილება.

ჩუღურეთის რაიონის გამგეობა, აღნიშნავს რომ ძალიან გაიზარდა მედიკამენტებით და სამედიცინო მომსახურების მიმღებთა განცხადებები, პირველი კვარტლის გეგმა ამოწურულია და პროგრამაში „სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები“ ითხოვენ მეორე კვარტლის გეგმას დაემატოს 100 000 ლარი. ასევე ითხოვენ, „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამას მეორე კვარტალში დაემატოს 100 000 ლარი, პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების მოსალოდნელი შესრულებების გამო.

აზრი გამოთქვეს: რამინა ბერიძემ, დავით უთმელიძემ.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე- 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური და ჩუღურეთის, გლდანისა და მთაწმინდის რაიონის გამგეობები ითხოვენ,მათზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში

გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილებას, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილების დანართების შესაბამისად პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

მოისმინეს გაიოზ თალაკვაძის ინფორმაცია, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების შესახებ.
მან დაწვრილებით ისაუბრა აღნიშნულთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 179,318.8 ათასი ლარით, ფაქტიურმა შერულებამ შეადგინა 179,363.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100.0%.
შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 3 თვის გეგმა 172,650.1 ათასი ლარი, ფაქტიურად 166,481.9 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 96.4% და მთლიანი - შემოსულობების 92.8% შეადგინა.
<u>გადასახადების სახით</u> ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 106,356.3 ათასი ლარი. მ.შ. ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 2,549.4 ათასი ლარის შემოსავალი.
<u>გრანტები</u>
საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 4,384.7 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 142.2 ათასი ლარი (მათ შორის ევროკავშირის მიერ მიღებული გრანტი - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის"); სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 114.9 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) – 4,127.7 ათასი ლარი, (გრძელდება ორბელიანის მოედანზე და ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები).
<u>სხვა შემოსავლები</u>
საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 48,561.0 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 55,740.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 114.8%-ია. მათ შორის:
პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1,676.1 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1,105.4 ათასი ლარი) შედარებით 570.7 ათასი ლარით მეტია.
დივიდენდებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 6.2 ათასი ლარი.
რენტის სახით მობილიზებულია 1,238.1 ათასი ლარი,
ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 35,811.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (33,087.0 ათასი ლარი) 108.2%-ია.
არაფინანსური აქტივებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 12,271.0 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: 1,497.6 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 10,677.1 ათასი ლარი.
ფინანსური აქტივების კლებიდან_საანგარიშო პერიოდში მობილიზებული 609.2 ათასი ლარი ასახულია ვალუტა და დეპოზიტების სახით (მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სესხის უზრუნველყოფის მიზნით წინა წლებში დეპოზიტზე განთავსებული თანხის დაბრუნება).
ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 0.8 ათასი ლარი (შემოსულობა საგარეო ფინანსური ვალდებულებების სახაზინო კოდზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულების ზრდას).
გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 186,049.4 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 150,430.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 81%-ია.
დაფინანსებული პრიორიტეტები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 15,804.4 ათასი ლარით, გეგმის (18,936.2 ათასი ლარი) 83.4%-ი;
ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 24,349.2 ათასი ლარით, გეგმის (28,474.3 ათასი ლარი) 85.5%-ი;
ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 9,890.2 ათასი ლარით, გეგმის (11,912.2 ათასი ლარი) 83%-ი;
ეკონომიკის განვითარებისა ხელშეწყობა - 308.3 ათასი ლარით, გეგმის (470.1 ათასი ლარი) 65.6%-ი;
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 1,688.5 ათასი ლარით, გეგმის (2,012.8 ათასი ლარი) 83.9%-ი;
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 43,150.9 ათასი ლარით, გეგმის (54,632.0 ათასი ლარი) 79%-ი;
განათლება - 31,836.9 ათასი ლარით, გეგმის (34,141.2 ათასი ლარი) 93.2%-ი;
კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 4,249.9 ათასი ლარით, გეგმის (6,877.7 ათასი ლარი) 61.8%-ი;
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 868.7 ათასი ლარით, გეგმის (987.8 ათასი ლარი) 87.9%-ი;
ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 18,283.7 ათასი ლარით, გეგმის (27,605.1 ათასი ლარი) 66.2%-ია.
აზრი გამოთქვეს: ირაკლი ზარქუამ, რამინა ბერაძემ,ლევან დარახველიძემ.
„ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამების შესრულებასთან დაკავშირებით, შეკითხვა ჰქონდა ირაკლი ზარქუას, რაზედაც კონკრეტული პასუხები გასცა ანდრია გველესიანმა.
თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულება მიღებული იქნა ცნობად.
სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის დქა საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა